ვალერიან შალიკაშვილი

ვალერიან შალიკაშვილი დაიბადა 1874 წლის 23 (ძვ.სტ.10) მაისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთში. სოფლის ოთხწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ბიძამ, პოლკოვნიკმა ბარნაბ მიქელაძემ სწავლის გასაგრძელებლად კავკავის (ახლანდელი ვლადიკავკაზი) რეალურ სასწავლებელში შეიყვანა. 1887 წელს, მეხუთე კლასის დამთავრების შემდეგ სამხედრო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ იქ არსებულ მკაცრ დისციპლონას ვერ შეეგუა და წამოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოეწყო განჯის რკინიგზის კანტორის მოხელედ, სადაც დიდხანს არ დარჩენილა და სოფელში დაბრუნდა. 1899 წელს, ბიძამ ხონსა და კულაშში თავისი მამულების გამგედ დანიშნა. აქ დაუახლოვდა ხონის სცენისმოყვარეებს, სადაც განასახიერა პატარა კახი აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების პიესაში და წარმატების შემდეგ, მსახიობობა გადაწყვიტა. ამ მიზნით 1902 წელს ქუთაისში ჩავიდა და დახმარება შალვა დადიანს სთხოვა, რომელმაც ლადო ალექსი-მესხიშვილი გააცნო. მან გამოსაცდელად ჭიათურაში გასტროლებზე წაიყვანა და კომედია „ბაიყუშში“ დათიკოს როლი მიანდო. ამის შემდეგ, ლადო ალექსი-მესხიშვილმა იგი ქუთაისის თეატრში მიიწვია, საიდანაც იწყება ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი პერიოდი. 1903 წელს, მან პარტნიორობა გაუწია ლადო ალექსი-მესხიშვილს ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის პიესაში „შევარდნები და ყორნები“ ბანკირის როლის შესრულებით.

1903-1904 წლების სეზონზე ვალერიან შალიკაშვილი ტფილისის ქართულ თეატრში მიიწვიეს, სადაც ბრწყინვალედ შეასრულა გივის როლი აკაკი წერეთლის „პატარა კახში“. 1904-1905 წლებში ქუთაისის, ხოლო მომდევნო სეზონზე ტფილისის თეატრში გამოდიოდა, 1906-1907 წლებში კი ჭიათურაში, სადაც დრამატული საზოგადოება დააარსა. 1907-1908 წლების სეზონზე მსახიობი ლადო ალექსი-მესხიშვილმა კვლავ ქუთაისის თეატრში მიიწვია, სადაც დავით კლდიაშვილის პიესაში „დარისპანის გასაჭირი“ დარისპანი განასახიერა და მაყურებელთან ერთად ავტორიც აღტაცებაში მოიყვანა. ამიტომაც წერდა დავით კლდიაშვილი: „დარისპანმა იპოვა თავისი მოსიყვარულე გამომხატველი ვალიკო შალიკაშვილი“.

1909 წელს, თბილისის დრამატულმა საზოგადოებამ ვალერიან შალიკაშვილი მოსკოვის სამხატვრო თეატრთან არსებულ სარეჟისორო კურსებზე გაგზავნა. აქაც, ქართველი სტუდენტების ძალებით მან „ქართული დრამის საზოგადოება“ დააარსა, რომლის ხელშეწყობაზეც ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი ზრუნავდა, ხოლო ხელმძღვანელობდა ვ. მჭედლიშვილი. სამწუხაროდ, ტფილისის დრამატულმა საზოგადოებამ ვალერიან შალიკაშვილის სწავლის საფასურის გადახდა ვეღარ უზრუნველყო და იგი სამშობლოში დაბრუნდა. 1910 წელს იგი რეჟისორად და მსახიობად მიიწვიეს ხონის თეატრში, სადაც დადგა სპექტაკლი „დამნაშავეა“ და ტომას ლეერის როლიც შეასრულა.

1910-1911 წლის სეზონში იგი ლადო ალექსი-მესხიშვილთან და ვალერიან გუნიასთან ერთად ქართულ თეატრში რეჟისორად მიიწვიეს. სეზონი მის მიერ დადგმული დავით ერისთავის „სამშობლოთი“ გაიხსნა. ამავე სეზონში განხორციელებული იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“ ქართული თეატრის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად შევიდა. შესანიშნავ მასობრივ სცენებში, ქართულ თეატრში, პირველად გამოჩნდა ანსამბლური შესრულება, რამაც საზოგადოებისა და პრესის განსაკუთრებული შეფასება დაიმსახურა.

უდიდესი წარმატება ხვდა წილად ვალერიან შალიკაშვილის მიერ ტფილისის თეატრში დადგმულ იოსებ გედევანიშვილის „სინათლეს“, რომლისთვისაც სპეციალურად დაიწერა მუსიკა, შეიქმნა დეკორაციები და დაიდგა საბალეტო ნომრები. სპექტაკლმა მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა და იგი 17-ჯერ გაიმეორეს, რაც იმ დროისთვის უჩვეულო ამბავი იყო.

მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ნიკო შიუკაშვილის „სიმახინჯე“, „მთის ზღაპარი“ და „მეგობრობა“, დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, დავით ერისთავის „სამშობლო“, ჰენრიკ იბსენის „ექიმი შტოკმანი“, ვალერიან გუნიას „სიძე-სიმამრი“, კოსოროტოვის „გაზაფხულის ნიაღვარი“ და სხვ.

ვალერიან შალიკაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ტფილისისა (1910-1914) და ხონის (1910) თეატრებში, ასევე ბაქოს ქართულ თეატრში (1915-1916).

ალექსანდრე წუწუნავასთან, აკაკი ფაღავასა და მიხეილ ქორელთან ერთად იგი მიიჩნევა პირველ ქართველ პროფესიონალ რეჟისორად. ამ რეჟისორებმა სპექტაკლებში შეიტანეს ანსამბლურობა და მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიღებული გამოცდილებით დაიწყეს მუშაობა.

ვალერიან შალიკაშვილის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: გრაფი (დე კურსელის „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“), სიმონ ლიონიძე, გოგია დიაკონი (დავით ერისთავის „სამშობლო“), ანანია გლახა (ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“), თომა (ნიკო შიუკაშვილის „სიმახინჯე“), ფონ რანკე (ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), ტირეზია (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), იაგო (უილიამ შექსპირის „ოტელო“), შტოკმანი (ჰენრიკ იბსენის „ექიმი შტოკმანი“), დათია (პოლიო ირეთელის „ქრისტინე“), სუფლიორი სოლომონი (ალექსანდრე დიუმას (მამა) „ედმუნდ კინი“), რებ ლეიზერი (ჩირიკოვის „ებრაელები“), რებ არონ (დიმოვის „ისმინე, ისრაელ“), მაქსი (ნიკო შიუკაშვილის „ციცინათელა“), გიორგი (ვ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევან“), ნესტორი (ვალერიან შალიკაშვილის „უნიადაგონი“) და სხვ.

ვალერიან შალიკაშვილი ავტორია პიესებისა: „ოჯახი“ (1906), „გადაჭრილი მუხა“ (1909), „უნიადაგონი“ (1913), „საქმიანი ბიუროკრატი“ (1913), „გაწყვეტილი ჯაჭვი“ (1917), „მოქალაქის სიზმარი“ (1918), „უპრეტენზიო კომედია“. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე, განსაკუთრებით „გადაჭრილი მუხა“ და „უნიადაგონი“.

თარგმნა პიესები: რიშკოვის „პირველი მერცხლები“, ბერნარდ შოუს „ცეზარი და კლეოპატრა“, დიმოვის „ისმინე, ისრაელ“, ო. მირბოს „ჟან და მადლენა“ და გერჰარტ ჰაუპტმანის „ფეიქრები“ (ლადო ალექსი-მესხიშვილთან ერთად), გ. ზუდერმანის „პეპელათა ბრძოლა“ და „ივანობის ღამე“, პლატონის „ხალხი“, შინიშევსკის „თოვლი“, გ. ენგელის „ზღვასთან“, ი. გორდონის „სატანა“ და სხვ.

ვალერიან შალიკაშვილი იყო მთელი რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წევრი. მისი ინიციატივით სოფლად გაიხსნა სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სახალხო უნივერსიტეტი, დაარსდა კოოპერატივი და ურთიერთდამხმარე სალარო. იგი აქტიურად მონაწილეობდა 1917 წელს მსახიობთა კავშირის ჩამოყალიბებაში და შალვა დადიანთან და კ. ანდრონიკაშვილთან ერთად აირჩიეს კავშირის საორგანიზაციო კომისიაში. იმავე წლის 30 აპრილს, კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ კი საბჭოს წევრად. 1918 წელს გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში ენთუზიაზმით ჩაება ახალგაზრდა სამსახიობო კადრების მომზადების საქმეში.

1914 წლის 6 თებერვალს ტფილისში გაიმართა ვალერიან შალიკაშვილის ბენეფისი.

ვალერიან შალიკაშვილი გარდაიცვალა 1919 წლის 30 (ძვ.სტ. 17) იანვარს. დაკრძალულია სოფელ აკეთში.

1949 წლის 16 იანვარს აღინიშნა მსახიობისა და დრამატურგის გარდაცვალებიდან 30 წლისთავი, ხოლო 1964 წლის 9 მაისს, ლანჩხუთში, – დაბადებიდან 90 წლის იუბილე.

ვალერიან შალიკაშვილის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვალერიან შალიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული გ. ჯაბადარის დრამატული სტუდიის გახსნისას.
   1918 წ. ტფილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.

2. ვ. შალიკაშვილის ჩანაწერი პიესისთვის „დავით აღმაშენებელი“.
   უთარიღო. ტფილისი. რვეული. ხელნაწერი. ფანქარი. 9 გვ.

3. ვ. შალიკაშვილის უბის წიგნაკი რეპეტიციების ჩატარებასთან დაკავშირებული ჩანაწერებით.
   უთარიღო. ტფილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 30 გვ.

4. ვ. შალიკაშვილის უბის წიგნაკი ჩანაწერებით ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებით.
   უთარიღო. ტფილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 22 გვ.

5. ვ. შალიკაშვილის ლექსების ალბომი.
   უთარიღო. ტფილისი. ხელნაწერი. ფანქარი. 59 გვ.

6. ვ. შალიკაშვილის ლექსები.
   უთარიღო. ტფილისი. რვეული. ხელნაწერი. ფანქარი. 190 გვ.

მასალები ვალერიან შალიკაშვილის შესახებ

7. „ქართული დრამატული დასი პეტერბურგში“.
   1913 წ. მაისი. ჟურნალი „ვეს მირ“. №19. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. ვალერიან შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრამა.
   პირი: შალვა დადიანი, გუგული ბუხნიკაშვილი, სერგო გერსამია, ნატალია ჯავახიშვილი, ნიკო გვარაძე, იოსებ იმედაშვილი, ვლადიმერ გეგეჭკორი, ა. ჯაყელი, იოსებ გრიშაშვილი, ზაქრო გომელაური, ლეო ქიაჩელი, დავით ჩხეიძე, აკაკი ვასაძე.
   1949 წ. 16 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 ეგზ. 89 გვ.

9. ვ. შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრამა.
   პირი: სერგო გერსამია, ნატალია ჯავახიშვილი, ვლადიმერ გეგეჭკორი, ა. ჯაყელი, დავით ჩხეიძე, აკაკი ვასაძე.
   1949 წ. 16 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. 50 გვ.

10. გ. ბუხნიკაშვილის ჩანაწერი ვ. შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მიმდინარეობასთან დაკავშირებით.
    1949 წ. 16 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

11. შ. გომელაურის მოგონება ვ. შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
    1949 წ. 16 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

12. ნ. ჯავახიშვილის მოგონება ვ. შალიკაშვილის გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1949 წ. 16 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. 7 გვ.

13. ამონაწერი პრესიდან ვალერიან შალიკაშვილის შესახებ.
1910-1949 წწ. ნაბეჭდი. 301 გვ.

14. ივანე ჩხაიძის მოხსენება ვალერიან შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ხელნაწერი. მელანი. 28 გვ.

15. ვ. ვადაჭკორიას სიტყვა ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

16. ლიანა ნაკაიძის სიტყვა ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

17. ლუიზა კეკელიძის სიტყვა ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ხელნაწერი. მელანი. 3 გვ.

18. თამარ შალიკაშვილის ლექსი ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

19. რ. ლორიას ლექსი ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

20. მოსაწვევი ბარათი ვალერიან შალიკაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოსთან დაკავშირებით.
1964 წ. 9 მაისი. ლანჩხუთი. ნაბეჭდი. 4 ც

21. უცნობი პირის მოგონება ვალერიან შალიკაშვილზე.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

სხვადასხვა

22. ე. ანიჩკოვის წიგნის „ტრადიცია და სტილიზაციის“ კონსპექტი, მომზადებული ვალერიან შალიკაშვილის მიერ.
1914 წ. ტფილისი. რვეული. ხელნაწერი. მელანი. 72 გვ.

23. გ. ჩელპანოვისა და ჯ. სპენსერის „შეხედულებები ფსიქოლოგიაზე“ – ვ. შალიკაშვილის მიერ მომზადებული კონსპექტი.
1914 წ. ტფილისი. რვეული. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 59 გვ.

24. ვ. შალიკაშვილის „ახალი კლუბის“ ბარათი ავეჯის ღირებულების გადახდასთან დაკავშირებით.
1918 წ. 29 თებერვალი. ტფილისი. სტამბური. შევსებული ხელით. მელანი. 1 გვ.

25. ამონაწერი საქართველოს თეატრალური საზოგადოების სხდომის ოქმიდან, მ. ცხომარიასთვის ანაზღაურების გამოყოფის შესახებ ვალერიან შალიკაშვილზე მასალების შეგროვებასთან დაკავშირებით.
1960 წ. 1 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

26. ვალერიან შალიკაშვილის პორტრეტი. მხატვარი ედ. ჩხაიძე.
1964 წ. ლანჩხუთი. ფანქარი. 1 გვ.

27. ნახატი – „ვალერიან შალიკაშვილის სახლი სოფელ ზემო აკეთში“. მხატვარი ედ. ჩხაიძე
1964 წ. ლანჩხუთი. ფანქარი. 1 გვ.

28. ვ. შალიკაშვილის ხარჯთაღრიცხვის დავთარი.
უთარიღო. ტფილისი. რვეული. ხელნაწერი. მელანი. 41 გვ.

29. ვ. შალიკაშვილის სავიზიტო ბარათი.
უთარიღო. ტფილისი. სტამბური. რუსულ ენაზე. 4 ც.

ვალერიან შალიკაშვილის ფოტოარქივი

1. ვალერიან შალიკაშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 10X13. 1 ც. ოვალური. ა. მიხაილოვის ფოტო.
2. ვ. შალიკაშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 18X24. ასლი. 1 ც.
3. ვ. შალიკაშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 17X23, 10X14. ასლი. 2 ც.
4. ვ. შალიკაშვილი ახალგაზრდობაში. ფოტო მთელი ტანით. 17X23. ასლი. 1 ც.
5. ვ. შალიკაშვილი ახალგაზრდობაში. ფოტო მთელი ტანით. 17X23. ასლი. 1 ც.
6. ვ. შალიკაშვილი ახალგაზრდობაში. პორტრეტი ცილინდრით. 12X15. ასლი. დაზიანებული. 2 ც.
7. ვ. შალიკაშვილი (პროფილი) ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 7X7. 6X9. 8X12. 10X14. 11X22. 14X23. 11X15. 16X20. ორიგინალი. 13 ც.
8. ვ. შალიკაშვილი (პროფილი) ახალგაზრდობაში. პორტრეტი. 10X14. 11X17. 28X38. ორიგინალი ავტოგრაფით. 4 ც.
9. ვ. შალიკაშვილის მეგობრული შარჟი. 11X16. ასლი. 1 ც.
10. ვ. შალიკაშვილი მეუღლესთან, ნატალია ჯავახიშვილთან ერთად. 10X13, 17X23. ა. ნორდშტეინის ფოტო. 3 ც.
11. ვ. შალიკაშვილი დედასთან და ძმასთან ერთად. 10X15. ორიგინალი. დაზიანებული. 1 ც.
12. ვ. შალიკაშვილის აღმზრდელი მიქელაძის ქალი შვილებთან ერთად. 11X!5. 17X23. ა. მიხაილოვის ფოტო. 3 ც.
13. ქართული დრამატული თეატრის პირველი სპექტაკლები მოსკოვსა და პეტერბურგში. 1913 წ. 10X13. 17X20. ასლი. 3 ც.
14. ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი და ნ. ჯავახიშვილი 1913 წ. 9X13. ორიგინალი. 1 ც.
15. ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავზე, სოფელ აკეთში. კადრში მის საფლავზე მყოფი სტუმრები: ვიქტორ ნინიძე, დიმიტრი ჯანელიძე, დავით ჩხეიძე, აკაკი ხორავა, საბაშვილი, მხატვარი შალიკაშვილი და ადგილობრივი მოსწავლეები. 11X1. ორიგინალი. 1 ც.
16. ვ. შალიკაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავზე, სოფელ აკეთში. კადრში მის საფლავზე მყოფი სტუმრები: დ. ჯანელიძე, ნ. გოძიაშვილი, პ. ფრანგიშვილი, საბაშვილი, დ. შენგელაია, ნ. შვანგირაძე. 12X17. ორიგინალი. 1 ც.
17. პატარა გოგონას ფოტო და მისდამი მიძღვნილი ვ. შალიკაშვილის ორსტროფიანი ლექსი. 11X16. 17X23. ორიგინალი ავტოგრაფით. 4 ც.